

მოსახლეობის ნაწიდი საპენსიო ასაკის ზღვარის დაწვევის მომხრეა



საქართველოს მოსახლეობის ნაწიდი საპენსიო ასაკის ზღვარის დაწვევის მომხრეა. ამას “კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის” მიერ ჩატარებული სოციალური კვლევა ადასტურებს.

“საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების” კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა უმრავლესობა არსებული ასაკობრივი ზღვარის დაწვევის მომხრეა. კერძოდ, ქალებისთვის სასურველ ასაკობრივ ზღვრად რესპონდენტთა 70%-მდე ასახელებს 55 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის სასურველ ასაკობრივ ზღვრად 72.2% ასახელებს 60 წელს.

რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედი კიდევ უფრო ამცირებს საპენსიო ასაკის ზღვრებს და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქალებისთვის ეს ზღვარი განისაზღვროს 50 წლის მიჯნაზე, ხოლო მამაკაცებისთვის – 55 წლის მიჯნაზე.